N/170

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 98/27-08-2012

ქ. თბილისი 27 აგვისტო 2012წ.

შ.პ.ს. **„სუფთა წყალი“**, შემდგომში წოდებული როგორც „მიმწოდებელი“, ერთის მხრივ და **შპს „სამედიცინო ცენტრი - ჯანმრთელობა“** შემდგომში წოდებული როგორც „მომხმარებელი“, მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და პირობები

1.1. „მიმწოდებელი“ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით აწვდის „ბინულის“ მარკის სასმელ წყალს (ლიცენზია № 00980, გაცემული საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2007 წლის 30 ნოემბერს) 19 ლიტრის მოცულობის მქონე ბოცებით, ხოლო „მომხმარებელი“ იღებს აღნიშნულ პროდუქციას და იხდის შეთანხმებულ ფასს. (SPA 15900000)

1.2. „მიმწოდებელი” იღებს პასუხისმგებლობას მის მიერ მიწოდებული პროდუქცია შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სანიტარულ და ხარისხის სტანდარტებს.

1.3. „მიმწოდებელი” პროდუქციის მიტანას „მომხმარებლამდე“ ახორციელებს საკუთარი ხარჯებით. პროდუქციის რაოდენობა და მისი მიტანის ვადები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, როგორც წერილობითი სახით, ასევე სატელეფონო შეტყობინებით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

1.4 „მიმწოდებელი” ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე განათავსოს 1 (ერთი) ცალი დისპენსერი და მინიმუმ 3 (სამი) ცალი 19 ლტ. წყლით სავსე ბოცა, რაზეც მხარეებს შორის გაფორმდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტი.

1.5. „მომხმარებელის“ სარგებლობაში არსებული დისპენსერი და ბოცები გაყიდვამდე რჩება „მიმწოდებლის“ საკუთრებაში.

1.6. „მომხმარებელი” იღებს ვალდებულებას შეიძინოს თვეში არანაკლებ 5 (ხუთი) ცალი ბოცა წყალი ყოველ დაყენებულ დისპენსერზე.

1.7. „მომხმარებელს” შეუძლია შეიძინოს წყალი როგორც ბოცასთან ერთად ისე ბოცის გარეშე.

1.8. „მომხმარებელი“ ვალდებულია სასმელი წყლის დისპენსერის და ბოცების ექსპლოატაციის პერიოდში, გაუფრთხილდეს მას და დაიცვას მექანიკური დაზიანებისა და დაკარგვისაგან. „მომხმარებლის” მიზეზით დისპენსერის მწყობრიდან გამოსვლის ან დაკარგვის შემთხვევაში იგი ვალდებულია „მიმწოდებელს” აუნაზღაუროს **300** (სამასი) ლარი. ხოლო ყოველი დაზიანებული ან დაკარგული ბოცის სანაცვლოდ გადაიხადოს **30** (ოცდაათი) ლარი. სხვა შემთხვევებში „მიმწოდებელი” ვალდებულია მწყობრიდან გამოსული დისპენსერი შეაკეთოს უსასყიდლოდ ან შეცვალოს ახლით.

1.9. „მიმწოდებლის“ მიერ „მომხმარებლზე” დროებით სარგებლობაში გადაცემული დისპენსერებზე და მასზე დადგმულ ბოცებში ფირმის მარკირებული წყლის გარდა სხვა სითხის ჩასხმის გამოვლენის შემთხვევაში, „მიმწოდებელს” უფლება აქვს „მომხმარებელზე“ გაავრცელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სანქციები , ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის გაწყვეტის ჩათვლით.

1.10. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი გადაწყვეტს შეიძინოს კომპანია „სუფთა წყალი“-ს დისპენსერი ან/და ბოცები, წინამდებარე ხელშეკრულების პუნქტი 1.5 ბათილად იქნება ცნობილი და ზემოთ ხსენებული ქონება გადავა მომხმარებლის საკუთრებაში

2. საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ერთი ბოცა წყლის ღირებულება ტარის გარეშე შეადგენს 10 (ათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. ერთი 19 ლტ. მოცულობის მქონე ტარის (ბოცის) ღირებულება შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2. „მომხმარებელი" ახორციელებს „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორებას ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით. უნაღდო ანგარიშსწორებისას „მომხამრებელი"ვალდებულია თანხა ჩარიცხოს „მიმწოდებლის" საბანკო ანგარიშზე: **სს საქართველოს ბანკი, ანგარიშის № GE13BG0000000129766400GEL, ბანკის კოდი: BAGAGE22** საქონლის მიღებიდან 10 (ათი) საბანკო დღეში.

2.3. იმ შემთხვევაში თუ „მომხმარებელმა" არ შეასრულა მიღებული საქონლის ღირებულების გადახდის პირობა, „მიმწოდებელი" უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

2.4. „მიმწოდებელი" იტოვებს უფლებას სამომხმარებლო ბაზარზე ფასების კორექტირების შემთხვევაში მომხმარებელთან შეთანხმებით მოახდინოს საქონლის ღირებულების კორექტირება.

3. დავების გადაწყვეტა

3.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

3.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს ან სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში.

4.2. თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე არცერთი მხარე არ განაცხადებს (წერილობით ფორმაში) ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების ვადა ავტომატურად გრძელდება ერთი წლის ვადით.

5. ფორს-მაჟორი

5.1. წინამდებარე ხელშეკულების დამდებ რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

5.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მომხმარებლის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

5.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

6. სხვა პირობები

6.1. ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლა დაუშვებელია. იგი შეიძლება მოხდეს მხარეთა შეთანხმებით.(თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 დღით ადრე).

6.2. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით.

6.3. მხარეებს არ აქვთ უფლება მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე გადასცენ მესამე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები.

6.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომლებიც ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

7. მხარეთა რეკვიზიტები:

"მიმწოდებელი"

შ.პ.ს. "სუფთა წყალი"

საიდენტიფიკაციო №: 205150655

მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის 118

ტელეფონი: 2 439-439; ფაქსი: 2 439-438;

ცხელი ხაზი: 595 97 98 98;

ბანკი: სს საქართველოს ბანკი,

ანგარიშსწორების ანგარიში:

№ GE13BG0000000129766400GEL

ბანკის კოდი: **BAGAGE22**

ირაკლი კალმახელიძე

დირექტორი

"მომხმარებელი"

შპს "სამედიცინო ცენტრი - ჯანმრთელობა"

საიდენტიფიკაციო №:206287212

მისამართი: ქ. თბილისი, კალოუბნის 12

ტელეფონი: 597130404

მიხეილ ნახუცრიშვილი

გენერალური დირექტორი

მიღება-ჩაბარების აქტი № _____

ქ.თბილისი 27 აგვისტო 2012 წ.

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, შ.პ.ს. „სუფთა წყალი"-ს ნდობით აღჭურვილი პირი, აკაკი ჭალიძე ერთის მხრივ და **შპს „სამედიცინო ცენტრი - ჯანმრთელობა"** _მეორეს მხრივ, ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ შ.პ.ს. „სუფთა წყალი"

გადაცემა				დაბრუნება			
დასახელება	ნომერი	რაოდენობა	რაოდენობა სიტყვიერად	დასახელება	ნომერი	რაოდენობა	რაოდენობა სიტყვიერად
მიდეა		2	ორი				
-			-	-		-	-
-			-	-		-	-
19ლ. მოცულობის ტარა		6	ექვსი	19ლ. მოცულობის ტარა	-	-	-
ჭიქის დამჭერი	-	-	-	ჭიქის დამჭერი	-	-	-

დროებით სარგებლობაში გადასცემს / იბრუნებს:

შემდეგ ფიზიკურ მისამართზე: ქ. თბილისი, კალოუბნის 12

შ.პ.ს. "სუფთა წყალი"

საიდენტიფიკაციო №: 205150655
მისამართი: **თბილისი, ფალიაშვილის 118**

ტელეფონი: 2 439-439

შპს „სამედიცინო ცენტრი - ჯანმრთელობა"
საიდენტიფიკაციო №:

2	0	6	2	8	7	2	1	2

მისამართი: კალოუბნის 12

ტელეფონი: 597130404

მიღება-ჩაბარების აქტი № _____

ქ.თბილისი

29 აგვისტო 2012 წ.

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, შ.პ.ს. „სუფთა წყალი“-ს ნდობით აღჭურვილი პირი, ...ა. ...ყარ...ვ..... ერთის მხრივ და შ.პ.ს. „ჯანმრთელობა“ ... მეორეს მხრივ, ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ შ.პ.ს. „სუფთა წყალი“ დროებით სარგებლობაში გადასცემს / იბრუნებს:

გადაცემა			დაბრუნება		
დასახელება	რაოდენობა	რაოდენობა სიტყვიერად	დასახელება	რაოდენობა	რაოდენობა სიტყვიერად
ბუ	2	ორი			
19ლ. მოცულობის ტარა	6	ექვსი	19ლ. მოცულობის ტარა		
ჭიქის დამჭერი			ჭიქის დამჭერი		

შემდეგ ფიზიკურ მისამართზე: ვერიანი 72

შ.პ.ს. "სუფთა წყალი"

საიდენტიფიკაციო №: 205150655

მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის 118

ტელეფონი: 2 439-439

ხელის მოწერა

შ.პ.ს. „ჯანმრთელობა“

დასახელება

საიდენტიფიკაციო №:

2	0	6	2	8	7	2	1	2

მისამართი: _____

ტელეფონი:

ხელის მოწერა